ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2017 წლის 13 ივნისი

ქ. მცხეთა

„ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 მარტის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 მარტის №13 დადგენილებაში (matsne.gov.ge. 010260020.35.175.016065. 01/04/2015) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან – განყოფილებებისგან.

1.1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საქმისწარმოების განყოფილება;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.“.

2. დებულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საქმისწარმოების განყოფილების კომპეტენცია

საქმისწარმოების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მერიის საქმისწარმოებას;

ბ) მერიის კორესპონდენციის მიღებასა და ადრესატებისათვის გადაგზავნას;

გ) მერის დავალებების რეგისტრაციას, მათი შესრულების კონტროლს;

დ) საქმისწარმოებაში დაშვებული დოკუმენტების სათანადოდ გაფორმებას და დოკუმენტბრუნვას;

ე) შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას, შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციასა და ინდექსაციას;

ვ) დოკუმენტის გადაცემას შემსრულებლისათვის;

ზ) დავალებების სათანადოდ გაფორმებას;

თ) დოკუმენტების შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;

ი) გასული დოკუმენტების გაგზავნას;

კ) საქმეთა მომზადებას არქივისათვის ჩასაბარებლად;

ლ) საქმისწარმოებაში ბეჭდების, შტამპების, ბლანკების სათანადო გამოყენებას;

მ) მერიის საჯარო მოსამსახურეთათვის საქმისწარმოების წესის გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე;

ნ) ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვას.“.

3. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების კომპეტენცია

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს :

ა) მერიის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას;

ბ) მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულის და შესაბამისობის შემოწმებას;

გ) მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, გათავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლის და მივლინების დოკუმენტურ გაფორმებას;

დ) მერიის შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზებას, აღრიცხვასა და კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე;

ე) მერიის საჯარო მოსამსახურეთათვის საკლასო ჩინების მინიჭების თაობაზე საკითხების მომზადებას;

ვ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით და მერის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჯიშკარიანი**